



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი

საკანმახანოებო ა პროგრამის შესახებ

მყარი სხეულების ფიზიკა, სადოქტორო საკანმახანოებლო პროგრამა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეჯახების თარიღი: 25 იანვარი 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი, 27.03.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მყარი სხეულების ფიზიკა
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მესამე საფეხური - დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ფიზიკის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ავტორიზებული, აკრედიტებული (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 12 თებერვლის №47 დადგენილება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ავთანდილ თავხელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი დალაქიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლექსო ტორიაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

■ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი მყარი სხეულების ფიზიკის სადოქტორო პროგრამა ამ უნივერსიტეტში ხორციელდება 2011 წლიდან. პროგრამამ მნიშვნელოვნად განვითარდა ბოლო წლების განმავლობაში. ეს განპირობებულია სოხუმის უნივერსიტეტის თანამშრომლობით სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტთან (სფტი). ეს ინსტიტუტი აქტიურად მუშაობს ფიზიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორცაა მყარი სხეულების ფიზიკა, დაკომპლექტებულია გამოცდილი მეცნიერებით და აქვს გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სადოქტორო პროგრამის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება მყარი სხეულების ფიზიკაში და მათი ინსტიტუტში მოზიდვა, რათა გარანტირებული იყოს არსებული და სამომავლო გეგმების სათანადო დონეზე შესრულება. ამისათვის პირველ რიგში გამოყენებული იქნება გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საქართველოში ამ მიმართულებით არსებული სკოლის გამოცდილება, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო დონეზე.

სადოქტორო კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა ეტაპობრივი პრინციპით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიღება, რომელსაც, ზოგადად, პროგრამა და, კერძოდ, მისი შედეგები გულისხმობს. პროგრამაში კრედიტები განაწილებულია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებს შორის. სადოქტორო პროგრამა მოიცავს **180 ECTS** კრედიტს, რომელთაგან **60 ECTS** განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, დანარჩენი - **120 ECTS** კრედიტი ეთმობა სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი გადანაწილებულია სწავლების მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სემესტრებზე. კვლევითი კომპონენტის **15 ECTS** კრედიტი ეთმობა კოლოქვიუმის მომზადებასა და პრეზენტაციას; **105 ECTS** კრედიტი კი - სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას, საბოლოოდ გაფორმებას და პრეზენტაცია/საჯარო დაცვას. ფაქტობრივად, სწავლების პირველ წელს დოქტორანტს მიეცემა საშუალება სასწავლო კურსების მეშვეობით გაეცნოს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს, მიდგომებს; გაიდრმავოს დარგობრივი ცოდნა მისთვის საინტერესო რაკურსით; ხელმძღვანელთან/ებთან შეთანხმებით შეარჩიოს და შეადგინოს სადოქტორო თემის გეგმა და დაიწყოს ბიბლიოგრაფიის დამუშავება; ხოლო სწავლების მეორე წლიდან, ოთხი სემესტრის მანძილზე, დოქტორანტი მიმართულია სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაზე.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 25 იანვარს. ვიზიტამდე, 23 იანვარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი

(ავთანდილ თავხელიძე, გიორგი დალაქიშვილი, ლექსო ტორიაშვილი) 12 საათზე და 18 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს, ინტერვიუს პროცესში პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

25 იანვარს სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში, 9 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი). შემდეგ შედგა ინტერვიუები სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან. ასევე, ვიზიტი ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესაძლებელი გახდა პროგრამის ადეკვატური და ობიექტური შეფასება.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შესაფასებელ მყარი სხეულების ფიზიკის საგოქტორო პროგრამაში ფორმულირებული მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას. პროგრამაში კარგადაა ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები და სწავლის მეთოდები.

სასწავლო კურსების დიდი უმრავლესობის შინაარსი, სწავლების მეთოდები და მოცულობა, შედგენილია სწავლის შედეგების მისაღწევადობის გათვალისწინებით. კურსებში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები და კრედიტების რაოდენობა სასწავლო კურსების შინაარსის შესატყვისია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგზე გასვლას. ცოდნის შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას, როგორც მიღწეული შედეგების, ასევე ნაკლოვანებებისა და მათი გაუმჯობესების გზების შესახებ.

სამაგისტროპროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას განათლების შემდგომ საფეხურზე და დასაქმების ბაზარზე.

პროგრამის მიხედვით, სტუდენტები მიიღებენ აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის, პროგრამების და აქტივობების შესახებ. დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. სურვილის შემთხვევაში, თითოეულ სტუდენტს ექნება შესაძლებლობა, წინასწარი

შეთანხმებით, შეხვდეს როგორც უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აგრეთვე სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს და გაიაროს კონსულტაცია. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენციებში და ასევე, სხვადასხვა კვლევით პროექტში. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას სპეციალობაში.

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ უნივერსიტეტს, ერთობლივად, გააჩნიათ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

▪ რეკომენდაციები

1. კურსები „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები 1 და 2“ სრულად არ შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ამოტომ ისინი არ შეიძლება იყოს სავალდებულო. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია: ა) ეს კურსები გახდეს არჩევითი. ბ) იმისათვის, რომ შენარჩუნებული იყოს კრედიტების რაოდენობა და განაწილება, პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსი „ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავების მეთოდები 1 და 2“ (ან მსგავსი). ეს საშუალებას მისცემს დოქტორანტს გააკეთოს არჩევანი და ამავდროულად უცვლელად დატოვებს კრედიტების რაოდენობასა და განაწილებას.
2. მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა იყოს ახლად გამოცემული.
3. მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა იყოს გამოცემული იმ ენაზე რომელი ენის ცოდნაც მოეთხოვება კანდიდატს პროგრამაზე დაშვებისას (სასურველია ინგლისური).
4. საჭიროა ბიბლიოთეკა გამდიდრდეს ახალი გამოცემებით.
5. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა უფრო ეფექტური მონიტორინგი გაუწიოს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სილაბუსების შედგენას
6. პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში აქტიურად არის ჩართული პროგრამის ხელმძღვანელი, მასთან ერთად ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ფაკულტეტის წარმომადგენლებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.
7. გაიზარდოს ლაბორატორიული სამუშაოების საათების რაოდენობა, რადგან პროგრამა აუფრო ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგებზე.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. ღორებულებებში დაემატოს სამეცნიერო ეთიკა რადგან ეს უნარი სასურველია სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

1. პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ინტერვუმ და აგრეთვე ინსტიტუტში არსებული უახლესი აპარატურის, განვითარებული ინფრასტრუქტურის და სხვა რესურსების დათვალიერებამ აჩვენა, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლადაა ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.
2. სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ის ლაბორატორიები, რომლებშიც იმუშავენ სტუდენტები, დოქტორანტურაში სწავლისას, აღჭურვილია უახლესი და დარგში მნიშვნელოვანი კვლევებისთვის საჭირო დანადგარებით.

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- წინა აკრედიტაციის შემდეგ სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიები, რომლებშიც იმუშავენ სტუდენტები, აღიქურვა უახლესი აპარატურით. ეს აპარატურა საშუალებას მისცემს დოქტორანტს ჩაატაროს უფრო მეტი ექსპერიმენტი იგივე დროის განმავლობაში, რაც გაზრდის მიღებული სამეცნიერო შედეგების რაოდენობას და აამაღლებს სადოქტორო ნაშრომის ხარისხს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,
სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „მყარი სხეულების ფიზიკის“ სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო პროგრამის - „მყარი სხეულების ფიზიკა“ წარმოდგენა განპირობებულია სოხუმის უნივერსიტეტის თანამშრომლობით სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტთან (სფტი), ფიზიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგში როგორცაა მყარი სხეულების ფიზიკა და ემყარება ამ თანამშრომლობის მდიდარ გამოცდილებას. სადოქტორო პროგრამის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება მყარი სხეულების ფიზიკაში და მათი ინსტიტუტში მოზიდვა, რათა გარანტირებული იყოს არსებული და სამომავლო გეგმების სათანადო დონეზე შესრულება. ამისათვის პირველ რიგში გამოყენებული იქნება გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საქართველოში ამ მიმართულებით არსებული სკოლის გამოცდილება, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო დონეზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის მისია • სადოქტორო პროგრამა • ინსტიტუტთან თანამშრომლობის მემორანდუმი და დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობის დამამტკიცებელი დოკუმენტები. • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან •
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ინტერვიუმ და აგრეთვე ინსტიტუტში არსებული აპარატურის და სხვა რესურსების დათვალიერებამ დაადასტურა, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლადაა ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და

მიღწევადია.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • პროგრამის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სოხუმის ილი ავეკუას ფიზიკა-ტექნიკი სინსტიტუტთან თანამშრომლობა. ინსტიტუტმა ბოლო წლებში შეიძინა თანამედროვე აპარატურა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის და სხვაწყაროების დაფინასებით. • მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინსტიტუტის ინფრასტრუქტურა. ამის გათვალისწინებით, პროგრამის მიზანი გახდა ბევრად უფრო მიღწევადი. ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლოკურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სადოქტორო კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა ეტაპობრივი პრინციპით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიღება, რომელსაც, ზოგადად, პროგრამა და, კერძოდ, მისი შედეგები გულისხმობს. პროგრამაში კრედიტები განაწილებულია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებს შორის. სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელთაგან 60 ECTS განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, დანარჩენი - 120 ECTS კრედიტი ეთმობა სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი გადანაწილებულია სწავლების პირველ და მეორე სემესტრებზე; შესაბამისად, აღნიშნულ სემესტრებში დოქტორანტი აითვისებს 60 ECTS დარგობრივ სავალდებულო კრედიტს. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების 1 პუნქტს, პროგრამაში რეალურად გამჩნდება არჩევითი საგნები. მხოლოდ ამის შემდეგ, სადოქტორო პროგრამის დარგობრივი სასწავლო კომპონენტი მიმართული იქნება, რათა დოქტორანტმა, თავისი ინტერესებიდან და საკვალიფიკაციო

ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავად შეარჩიოს სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ მყარი სხეულების ფიზიკის საკვანძო პრობლემების ირგვლივ არსებული მასალისა და სამეცნიერო გამოკვლევების ამომწურავ ანალიზს.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი; მოიცავს **120 ECTS** კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია სწავლების მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სემესტრებზე. კვლევითი კომპონენტის **15 ECTS** კრედიტი ეთმობა კოლოქვიუმის მომზადებასა და პრეზენტაციას; **105 ECTS** კრედიტი კი - სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას, საბოლოოდ გაფორმებას და პრეზენტაცია/საჯარო დაცვას. ფაქტობრივად, სწავლების პირველ წელს დოქტორანტს მიეცემა საშუალება სასწავლო კურსების მეშვეობით გაეცნოს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს, მიდგომებს; გაიდრმავოს დარგობრივი ცოდნა მისთვის საინტერესო რაკურსით; ხელმძღვანელთან/ებთან შეთანხმებით შეარჩიოს და შეადგინოს სადოქტორო თემის გეგმა და დაიწყოს ბიბლიოგრაფიის დამუშავება; ხოლო სწავლების მეორე წლიდან, ოთხი სემესტრის მანძილზე, დოქტორანტი მიმართულია სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაზე.

დოქტორანტი გეგმავს და ატარებს ექსპერიმენტს, ამუშავებს მოპოვებულ მონაცემებს და ამზადებს მათ პუბლიკაციისათვის. ექსპერიმენტი მოიცავს ნიმუშების დამზადებას ახალი ან განახლებული ტექნოლოგიის გამოყენებით და ნიმუშების გაზომვას ცნობილი ან ახალი მეთოდების გამოყენებით. მონაცემთა დამუშავება მოიცავს ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგების გამორჩევას და მათ ანალიზს. პუბლიკაციისათვის მომზადება მოიცავს მთელი ინფორმაციის (ტექნოლოგია, მეთოდები, შედეგები, ანალიზი) სისტემატიზაციას და მკითხველისათვის მოსახერხებელ ფორმაში გადმოცემას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- სილაბუსები
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი.
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

- გაიზარდოს ლაბორატორიული სამუშაოების საათების რაოდენობა, რადგან პროგრამა უფრო ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტი წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ამასთან ერთად, დოქტორანტურის სასწავლო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს უყალიბდება მყარი სხეულების ფიზიკის მიმართულების მკვლევარისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და შემდეგი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება - გააჩნია ფუნდამენტური ცოდნა მყარი სხეულების ფიზიკის დარგში, ფლობს ამ დარგის მკვლევარისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რომლებიც იძლევიან მყარი სხეულების ფიზიკაში რეფერირებადი საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტების დონეზე სამუშაოების შესრულების საშუალებას. კარგად ერკვევა არსებულ პრობლემებში, გაცნობიერებული აქვს მათი გადაჭრის გზები და მეთოდები. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს, ზედამხედველობა გაუწიოს და განახორციელოს მიზანდასახული სამეცნიერო კვლევები მყარი სხეულებისა და ნახევარგამტარების ფიზიკაში, შეიმუშაოს ორიგინალური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები. დასკვნის უნარი - აქვს კრიტიკული ანალიზის და არგუმენტიერებული დასკვნის გაკეთების უნარი. შეუძლია რთული პრობლემების შეფასება და მათი გადაწყვეტის გზების ძიება. კომუნიკაციის უნარი - შეუძლია კოლეგებთან სამეცნიერო თემებზე მსჯელობა და დისკუსიის სწორად წარმართვა, უცხო ენაზე სამეცნიერო პუბლიკაციების სათანადოდ მომზადება და საერთაშორისო კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზე მოხსენებით

გამოსვლა. სწავლის უნარი - შეუძლია ახალი ინფორმაციების და იდეების მოძიება და მათი გამოყენება საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების გადაჭრაში. ღირებულებები - ახალი ინფორმაციების და იდეების მოძიება და მათი გამოყენება საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების გადასაჭრელად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სადოქტორო პროგრამა სილაბუსები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ინტერვიუ. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამა.
რეკომენდაციები: კურსები „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები 1 და 2“ სრულად არ შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ამიტომ ისინი არ შეიძლება იყოს სავალდებულო. კომისიის რეკომენდაციაა ეს კურსები გახდეს არჩევითი. იმისათვის, რომ შენარჩუნებული იყოს კრედიტების რაოდენობა და განაწილება, კომისიის რეკომენდაციაა პროგრამას დაემატოს <u>არჩევითი კურსი</u> „ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავების მეთოდები 1 და 2“ (ან მსგავსი). არჩევითი კურსების დამატება საშუალებას მისცემს დოქტორანტს გააკეთოს არჩევანი და ამავედროულად არ შეცვლის კრედიტების რაოდენობასა და განაწილებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ღირებულებებში დაემატოს სამეცნიერო ეთიკა რადგან ეს უნარი სასურველია სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია ის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ მყარი სხეულის, ნახევარგამტარების ფიზიკის, მიკრო და ნანოტექნოლოგიების და ფიზიკის სხვა მომიჯნავე დარგების მიმართულებით /მაგალითად სოხუმის ი. ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი/. შესაძლებელია, აგრეთვე, დასაქმდეს უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი სპეციალობების ფაკულტეტებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტებთან და მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი არის საჯარო და გამჭვირვალე, ხოლო პროგრამის განვითარებაში, მის შემდგომ სრულყოფაში მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები).

სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით და რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული ტექნიკური და შინაარსობრივი საკითხები, განსაზღვრულია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ადამიანური რესურსი და პროგრამის მომზადების პროცესში მათი მონაწილეობის მექანიზმი; კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი ხელმძღვანელობს პროგრამას აკადემიური პერსონალის საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და ზოგადად ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალუა მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით. პროგრამა განხილულია ფიზიკის მიმართულების აკადემიური პერსონალის სხდომაზე, ფაკულტეტის საბჭოს მიერ და დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

სწავლის შედეგების ოპტიმალურად და რეალისტურად განსაზღვრის, არსებული პროგრამის გაუმჯობესებისა და დახვეწის, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით პროგრამით დაინტერესებული პირები (აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები, კურსდამთავრებულები, სავარაუდო დამსაქმებლები) აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებაში, კერძოდ, აკადემიური პერსონალის ჩართულობა გამოიხატება გუნდური მუშაობის პრინციპით, რაც გარანტიას იმისა, რომ პროგრამა არ არის მხოლოდ მისი ხელმძღვანელის ხედვის გამომხატველი. პროგრამა და სასწავლო პროცესი სტუდენტზეა ორიენტირებული და მაქსიმალურად ითვალისწინებს მის ინტერესებს, რაც გამოიხატება პროგრამის ყოველწლიურ დახვეწაში, არჩევითი და სავალდებულო კურსების ოპტიმიზაციაში, შეფასების ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნებაში, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებაში და სხვ. შემუშავებულია სტუდენტთა მიერ ცალკეული სასწავლო კურსებისა და ამ კურსის წამყვან პროფესორთა შეფასების სპეციალური კითხვარები, რომელთა დამუშავება და ანალიზი, მონაცემთა გათვალისწინება

ხდება უწყვეტ რეჟიმში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამით და სილაბუსებით დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებით (აკადემიური პერსონალი, სავარაუდო დამსაქმებლები)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	ნაწილობრივ	არ	არის
-----------	-----------------	------------	----	------

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე მიღების წინაპირობებია: მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ან ინჟინერიის მიმართულებით. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - B2 დონე; გასაუბრება ფაკულტეტის დარგობრივ კომისიასთან; კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა; • დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი; • უნივერსიტეტის ვებ-ვერდი.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, კოლოკვიუმი, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა და სხვ. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია და სხვ. დოქტორანტი გეგმავს და ატარებს ექსპერიმენტს, ამუშავებს მოპოვებულ მონაცემებს და ამზადებს მათ პუბლიკაციისათვის. ექსპერიმენტი მოიცავს ნიმუშების დამზადებას ახალი ან განახლებული ტექნოლოგიის გამოყენებით, ნიმუშების გაზომვას ცნობილი ან ახალი მეთოდების გამოყენებით. მონაცემთა დამუშავება მოიცავს ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგების გამორჩევას და მათ ანალიზს. პუბლიკაციისათვის მომზადება მოიცავს მთელი

ინფორმაციის (ტექნოლოგია, მეთოდები, შედეგები, ანალიზი) სისტემატიზაციას და მკითხველისათვის მოსახერხებელ ფორმაში გადმოცემას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა; • სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვები სწინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიზილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. აღნიშნული პროგრამა აგებულია სტრუქტურირებული ფორმით, საუნივერსიტეტო (მისიით დასახული მიზნების შესატყვისი კომპეტენციების და ღირებულებების გამომჟღავნებაზე ორიენტირებული სასწავლო დისციპლინების) და დარგობრივი (დარგის თეორიების, პრინციპების, სხვა კომპლექსური საკითხების ძირითადად თეორიულ გაცნობაზე ორიენტირებული) სასწავლო კურსებისაგან. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო დისციპლინებს შორის შესწავლის პრერეკვიზიტების სისტემა, რომელიც მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და ასევე ასახულია სილაბუსებში. პრერეკვიზიტების სისტემა მიზნად ისახავს გასაღები მასალის თანმიმდევრული გართულებისა და განზოგადებისგან განკერძოებისაკენ სვლას პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომჟღავნების ეტაპზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა; სილაბუსები. • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.

სასწავლო კურსებში სტუდენტის ცოდნა ფასდება **100 ქულიანი სისტემით**, არის მრავალკომპონენტიანი და ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას/გამოცდას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას.

შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი ან ავტორები საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე. შუალედური შეფასებების აუცილებელი კომპონენტია წერიტი შეფასება, რომელიც განისაზღვრება არა ნაკლებ **20 ქულიანი წერიტი კომპონენტით**. შუალედური შეფასებების ჯამური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს **11 ქულაზე ნაკლები**. დასკვნითი გამოცდის/შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის/შეფასების **45% -ზე** ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების **60%-ს**.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში აღწერილია კონკრეტული შეფასების ფორმები და მეთოდები,

განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს უშუალოდ ლექტორი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დანარჩენი რეგულაციები მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

დისერტაცია/სამეცნიერო პროექტი/კოლოქვიუმი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი მოცემულია დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტსა და სადისერტაციო საბჭოების დებულებებში

შეფასების მეთოდები კარგად არის მორგებული დარგის სპეციფიკაზე. ეს მეთოდები იმის საშუალებას იძლევა, რომ ზუსტად გაიზომოს სტუდენტის ცოდნა. აგრეთვე, დაეხმაროს სტუდენტს საკუთარი ნაკლოვანებების შეფასებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

• დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. პროგრამის თითოეული კომპონენტის სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო, ღია და გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის. შეფასების პროცედურის გამჭვირვალობისა და სტუდენტის მაქსიმალური ინფორმირებულობის, გამოცდების შედეგების გადამოწმების და საგამოცდო პროცესის შედეგების ანალიზის მიზნით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული - ერთიანი საგამოცდო ცენტრი, სადაც ცენტრალიზებულად ტარდება გამოცდები. ცენტრი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს დადგენილებების, უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ცენტრის დებულების საფუძველზე. შეფასების მეთოდები კარგად არის მორგებული დარგის სპეციფიკაზე. ასეთი მეთოდები იმის საშუალებას იძლევა, რომ ზუსტად გაიზომოს სტუდენტის ცოდნა. აგრეთვე, ეხმარება სტუდენტს საკუთარი ნაკლოვანებების გაანალიზებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა; • სილაბუსები; • საგამოცდო ცენტრის დებულება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	ნაწილობრივ	არ	არის
-----------	-----------------	------------	----	------

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მოქმედი პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციების, ამ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ. უნივერსიტეტი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტს პროგრამის საკვალიფიკაციო აღწერილობის (პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია), პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების მოცულობა, შეფასების წესი და სხვ.) მათი კვირეული სააუდიტორიო დატვირთვის შესახებ პირველადი ინფორმაცია შეუძლია მოიპოვოს უნივერსიტეტი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (სასწავლო პროგრამებში), სადაც მითითებულია ასევე პროგრამის ხელმძღვანელი – როგორც საკონტაქტო პირი.

სილაბუსებში მითითებულია, აგრეთვე, კონსულტაციის დღეები და დრო. ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომლის უშუალო ფუნქციაა სტუდენტისთვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა, მისთვის სასწავლო პროცესის საჭიროებებიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში დახმარება; სტუდენტისთვის სხვადასხვა ტიპის ცნობების გაცემა; მისთვის კონსულტაციის გაწევა, თუ ვის უნდა მიმართოს ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად; სტუდენტთა განცხადებების მიღება და მათზე რეაგირება (უკუკავშირი სტუდენტთან); სტუდენტთათვის სასწავლო პროცესში შექმნილი პრობლემების (კრედიტების აღებასთან, სასწავლო კურსზე რეგისტრაციასთან, ცხრილთან დაკავშირებით) მოგვარება ფაკულტეტის და ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით.

სტუდენტთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ხელმძღვანელი მას დიდ დროს უთმობს და სტუდენტი კმაყოფილია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ფაკულტეტის დებულება;

• კონსულტაციების განრიგი • სტუდენტთან გასაუბრება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კარგი იქნებოდა, რომ დაწესებულებას ჰქონდეს სწავლების ელექტრონული სისტემა. თუმცა, ეს უფრო მნიშვნელოვანია სწავლების საწყისი საფეხურებისათვის და ნაკლებად მნიშვნელოვანია დოქტურატურისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი აკადემიური საბჭოს დადგენილებით აკადემიური პერსონალის - პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის თანამდებობრივი სარგო და სახელფასო დანამატის ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებით, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სავალდებულო ყოველკვირეული სააუდიტორიო დატვირთვის პარალელურად იმავე მოცულობით ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების ჩატარება.

ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მიერ გამოიკვრება ფაკულტეტის მიმართულებების საინფორმაციო დაფებზე ძირითადი სამტატო ერთეულის აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო დღეები და საათები, სტუდენტისთვის ეს განრიგი არის საჯარო და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი. გარდა ამისა სილაბუსებში

მითითებულია ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია (საკონტაქტო ტელეფონების და ელექტრონული ფოსტის ჩათვლით), და ინფორმაცია ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების შესახებ, ადგილის, დროის და აუდიტორიის მითითებით ზოგადად, სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის რეჟიმი ხელს უწყობს სტუდენტსა და პროფესორს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას, სწავლების ხარისხის ამაღლებას, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა განსაკუთრებით ეფექტურია კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში - სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციებისთვის თემის მომზადება-დამუშავების პროცესში, სტუდენტთა მიერ პუბლიკაციების მომზადებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამით და სილაბუსებით
- აკადემიური პროგრამების კატალოგით
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით
- აკადემიური საბჭოს დადგენილებებით
- ინტევიუები რექტორთან, ადმინისტრაციის ზელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ფაკულტეტის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
-

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფაკულტეტი აქტიურად ხელს უწყობს კვლევითი, სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში.

უნივერსიტეტი უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების, აგრეთვე დასვენებისა და კულტურული და სპორტული ღონისძიებების სერვისების ორგანიზებისთვის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით სისტემატურად ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენები, საჯარო ლექციები, ტრენინგები სტუდენტთა პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, პრაქტიკები, სამეცნიერო ექსპედიციები, ლაშქრობები, ექსპედიციები, შეჯიბრებები „სად? რა? როდის?“, სხვადასხვა სახის პროექტები, შეხვედრები საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, სპორტისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან.

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები, სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობა პროგრამისაგან დამოუკიდებელ ინიციატივებში გამოიხატება: ფაკულტეტის ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, პრეზენტაციებში მონაწილეობით, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები ქვეყნდება სამეცნიერო კრებულებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კონფერენციის მასალებით;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდით;
- სპორტის, კულტურის და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის დებულებით;
- სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის სამსახურის ანგარიშებით.
- ინტევიუები რექტორთან, ადმინისტრაციის ზელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ფაკულტეტის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.

•
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობის და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე და მის პრიორიტეტს წარმოადგენს ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. 2009 წლიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, "TEMPUS", ERSAMUS MUNDUS-ი, ხოლო 2016 წლიდან დღემდე ჩართულია ERSAMUS + და credit mobility პროექტებში, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა, განათლების მენეჯმენტის განვითარება და თანამშრომლობის გაღრმავება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან და სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა. ამ კუთხით გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმები. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ერთობლივი და ორმაგი ხარისხის სადოქტორო პროგრამების შექმნაზე როგორც ქართულ, ისე უცხოეთის უნივერსიტეტებთან კოორდინირებით. თუმცა, ჯერჯერობით ორმაგი სადოქტორო პროგრამით არცერთი სტუდენტი არ სწავლობს. სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები ყოველწლიურად მონაწილეობენ საერთაშორისო, რეგიონალურ და ადგილობრივ კონფერენციებში,

აქვეყნებენ სამეცნიერო სტატიებს, მათ შორის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, გამოსცემენ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებს, მონაწილეობენ შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შესაბამისი პროექტები და მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული კლასები, სააუდიტორიო რესურსი და სხვა რესურსები), რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის პრაქტიკულ და თეორიულ მომზადებასა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას. ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: სადისერტაციო ნაშრომისათვის საჭირო მასალები. შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით. სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებით, ნაშრომების კრებულებით ფიზიკის აქტუალურ საკითხებზე, პროფესიული და რეფერატული ჟურნალებით, ბიბლიოგრაფიული ცნობარებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. სოხუმის უნივერსიტეტში, სასწავლო გარემო ზოგიერთ შემთხვევაში იყო შეუსაბამო, გასარემონტებელი, ან ტარდებოდა სარემონტო სამუშაოები. ასევე, არ აქვთ ელექტრონული ბაზები, მაგრამ მაგრამ სტუდენტს არ აქვს თავისი პროფილი და ვერ სარგებლობს, საბიბლიოთეკო რესურსი იყო მწირი. თუმცა, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ფიზიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობის ფარგლებში შესაძლებელია მათი რესურსებით სარგებლობა, რაც შესაძლებელს ხდის სტუდენტის მიერ კვლევით კომპონენტზე მუშაობას
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები • სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიების დათვალიერება • გასაუბრება სტუდენტთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სოხუმის ფიზიკა ტექნიკურ ინსტიტუტს, სადაც დოქტურატურის სტუდენტები ძირითად იმუშავენ აქვს კარგი ინფრასტრუქტურა. შენობა გარემონტებულია. რასაც ვერ ვიტყვით სოხუმის სახელწიფო უნივერსიტეტზე. უნივერსიტეტი საჭიროებს რემონტს, და ბიბლიოთეკის ელექტრონული სისტემის გაუმჯობესებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სოხუმის(ვაში): ტიკაგანვითარებისთვის ისხუმის(ვაში): ტიკაგანვითარებისთვის რეფერატული ჟურნალებით, ბიბლიოგრაფიული ცნობარებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო ტა სამეცნიერო მუშაობას. d

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს ფიზიკის მიმართულების პროფესორი, რომელსაც გააჩნია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფენ პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, ვინაიდან თითოეული მათგანი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, რომლებიც გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, ამავე დროს გააჩნიათ სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის დიდი გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მოწვეული პერსონალი: პროგრამის განხორციელება გულისხმობს ექსპერიმენტულ კვლევას მყარი ტანის ფიზიკაში ამიტომ აუცილებელია პროგრამაში ჩაერთოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი კვლევითი ინსტიტუტიდან, ამ შემთხვევაში სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტიდან. პროგრამაში ჩართულ მოწვეულ პერსონალს გააჩნია როგორც პრაქტიკული გამოცდილებე ასევე, იგი აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კვლევებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები, CV. • გასაუბრება პროგრამაში ჩართულ ძირითად და მოწვეულ პერსონალთან

• გასაუბრება სტუდენტთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამაში უფრო მეტად ჩაერთოს სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის პერსონალი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბაზაზე. ფაკულტეტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით. ფაკულტეტის მართვა/ადმინისტრირება ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით.

ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას, ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. დეკანის მოადგილე ახდენს სპეციალობების, მოდულების, სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროცესის ცხრილის შემუშავების კოორდინირებას; კომპეტენციის ფარგლებში აკადემიური პერსონალის დატვირთვების განსაზღვრას; სასწავლო პროცესის ცხრილისა და აკადემიური პერსონალის დატვირთვების მონიტორინგს; ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაციას; ფაკულტეტზე სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ფაკულტეტზე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. ფაკულტეტის გამართული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტი აერთიანებს საფაკულტეტო მნიშვნელობის ძირითად და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს, ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური -1 სამტატო ერთეული., სტუდენტთა რეგისტრაციის - 1 სამტატო ერთეული, ფაკულტეტის მდივანი -1 სამტატო ერთეული. აღნიშნული პერსონალი ხელს უწყობს პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას. ადმინისტრაციული პერსონალის უმეტესობას სრულად აქვს თავისი ფუნქციების შესაბამისი კვალიფიკაცია. ფაკულტეტის ხარისხი მეტ-ნაკლებად გარკვეული იყო თავის საქმიანობაში და საკითხებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები • გასაუბრება ფაკულტეტის წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციასთან. • გასაუბრება სტუდენტთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ○

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიდწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის სილაბუსებში მითითებულია დარგის კლასიკური ლიტერატურა, სწავლებისას გამოიყენება სამეცნიერო სტატიები. სავალდებულო წიგნადი ფონდი, სასწავლო-მეთოდური მასალა განახლდა უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით და ელექტრონული წიგნებით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია ელექტრონული ბიბლიოთეკით და ჩართულია ერთიან ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში. იხ. ჩვენი მოსაზრება 4.1.1

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შესავსებია ახალი გამოცემებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასებაზე თანდართული მასალები
- ბიბლიოთეკის დათვალირება
- ინტერვიუ პროგრამაში ჩართულ პერსონალთან

ინტერვიუ სტუდენტთან

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა იყოს ახლად გამოცემული.
- მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა იყოს გამოცემული იმ ენაზე რომელი ენის ცოდნაც მოეთხოვება კანდიდატს პროგრამაზე დაშვებისას ().

საჭიროა ბიბლიოთეკა გამდიდრდეს ახალი გამოცემებით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სტუდენტებმა მოისმინონ დარგის წამყვანი სპეციალისტების საჯარო ლექციები/სემინარები

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. არ ფინანსდება კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობა რაც ზოგადი პრობლემაა (სხვა უნივერსიტეტებისთვისაც). კონფერენციებში მონაწილეობა ფინანსდება რუსთაველის ფონდის საგანმანათლებლო და სამეცნიერო გრანტებიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასებაზე თანდართული მასალები • გასაუბრება უნივერსიტეტი ადმინისტრაციასთან • გასაუბრება ფაკულტეტის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლს. აღნიშნული ციკლი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი ცნობილი თავისებურებაა.

პერიოდულად ხორციელდება სტუდენტებისა და პროფესორების გამოკითხვები.

პროგრამაზე სადოქტოროს დაცვე ჯერ არ მომხდარა, ამიტომ ჯერჯერობით ბოლომდე ცნობილი არაა თუ რა შედეგები მოაქვს ამ გამოკითხვებს.

ფაკულტეტის ხარისხი ნაკლებად არის ჩართული სასწავლო პროცესში. ეს კომპენსირდება, უნივერსიტეტის ხარისხისა და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის მნიშვნელოვანი ჩართულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასებაზე თანდართული მასალები

• ინტერვიუ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან • ინტერვიუ ფაკულტეტისა და პროგრამაში ჩართულ პერსონალთან
რეკომენდაციები: • ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა უფრო ეფექტური მონიტორინგი გაუწიოს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სილაბუსების შედგენას • პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში აქტიურად არის ჩართული პროგრამის ხელმძღვანელი, სასურველია მასთან ერთად ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის წარმომადგენლებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად. სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში მონაწილეობენ აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია და სტუდენტები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: პუბლიკაციები (ციტაციის კოეფიციენტი), პატენტები, და ა.შ.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, რაც მნიშვნელოვანია როგორც გარე შეფასება. განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისა და ექსპერტების კონსულტაციები სასარგებლო იქნება პროგრამ(ებ)ის განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასებაზე თანდართული მასალები
- ინტერვიუ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან
- ინტერვიუ ფაკულტეტისა და პროგრამაში ჩართულ პერსონალთან
- ინტერვიუ სტუდენტთან
- ინტერვიუ დამსაქმებელთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამა შედარდეს მის ანალოგებს წარმატებულ უნივერსიტეტებში

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓	

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მყარი სხეულების ფიზიკა, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓	
საბოლოო შეფასება	✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მყარი სხეულების ფიზიკა, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓	
საბოლოო შეფასება	✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

გ. ქაქიძე

დ. ცოხიაშვილი